



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 1 20 00408413



25/05/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 16 აპრილის №341250 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი წესით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა კორპუსის ფორმირებამდე პროფესიული

საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებები განხორციელდეს „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანების (შემდგომში - №170 ბრძანება) შესაბამისად ფორმირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი ექსპერტების მიერ, ხოლო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებები - „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №372/ი ბრძანების (შემდგომში - 372/ი ბრძანება) შესაბამისად ფორმირებული პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრი ექსპერტების მიერ.

3. ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი წესით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა კორპუსის ფორმირებამდე, №170 ბრძანების შესაბამისად ფორმირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის / №372/ი ბრძანების შესაბამისად ფორმირებული პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრი ექსპერტების მონაწილეობით დაწყებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებები დასრულდეს ამავე ექსპერტების მიერ, მიუხედავად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა კორპუსის ფორმირების პერიოდისა.

4. ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრმა ექსპერტებმა საქმიანობა განახორციელონ №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ დადგენილი რეგულაციების მიხედვით, ხოლო პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრმა ექსპერტებმა საქმიანობა განახორციელონ №372/ი ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა კორპუსის ფორმირებისას მოხდეს №170 ბრძანების შესაბამისად ფორმირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი ექსპერტების, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული ნიშნით შერჩეულ ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, და ასევე, №372/ი ბრძანების შესაბამისად ფორმირებული პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრი ექსპერტების შეყვანა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დასაქმების სფეროებში მუშაობის გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტების - დარგის ექსპერტების კვოტით.

6. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციის სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

7. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

**თავი I
ზოგადი დებულებები**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებს.

მუხლი 2. ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის მიზანი

ამ წესის მიზნებია:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული წარმოებების, ასევე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესითა და პირობებით“ გათვალისწინებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებების წარმართვისას თანმიმდევრული და სრულყოფილი შეფასების უზრუნველყოფა და ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

ბ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის გაუმჯობესება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბებით;

გ) ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ხელშეწყობა.

**თავი II
ექსპერტთა კორპუსის შექმნისა და ექსპერტთა შერჩევის წესი**

მუხლი 3. ექსპერტთა კორპუსი

1. ექსპერტთა კორპუსი შედგება პროფესიული განათლების სფეროში გამოცდილების მქონე სპეციალისტების - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დასაქმების სფეროებში მუშაობის გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტებისგან - დარგის ექსპერტებისგან.

2. პირი ექსპერტთა კორპუსში შესაძლებელია შეყვანილ იქნეს როგორც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის კვალით, ასევე დარგის ექსპერტის კვალით, თითოეული

კვოტის ფარგლებში ამ წესით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

3. ექსპერტთა კორპუსი იქმნება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად.

5. ექსპერტი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესაბამისი ვადით შეზღუდული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო/პროფესიულ საგანმანათლებლო/უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში საექსპერტო საქმიანობის განხორციელების უფლება, ამ ვადის ამოწურვამდე.

6. ექსპერტი, რომელიც იმავდროულად არის საჯარო მოხელე, შესაძლებელია მონაწილეობდეს მხოლოდ იმ საქმისწარმოებაში, რომლის ფარგლებშიც ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების საგანს წარმოადგენს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულირებადი პროფესიის ფარგლებში გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 4. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევა

დარგის ექსპერტების შერჩევა ხდება ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი პროცედურის მიხედვით, ხოლო პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების შერჩევა - სერტიფიცირების წესით.

მუხლი 5. დარგის ექსპერტის შერჩევის პროცედურა

1. დარგის ექსპერტთა შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დარგის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადება, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს დარგის სპეციალისტის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით;

დ) დარგის ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;

ე) გასაუბრება;

ვ) კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

ზ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შერჩეულ კანდიდატთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში, დარგის ექსპერტის კვოტით.

2. დარგის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული განათავსებს ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შესაძლებლობის შემთხვევაში სხვა ვებ-გვერდზე, რომელიც გამოიყენება მსგავსი კატეგორიის განცხადებების საძიებო მიზნებისათვის.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს დარგის ექსპერტისთვის ამ წესით დადგენილ ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და შემდეგ ინფორმაციას:

ა) კონკურსის განმახორციელებელი უწყების დასახელებას;

ბ) კონკურსის ეტაპებსა და ვადებს;

გ) განაცხადის გასაკეთებლად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, მათი წარდგენის ვადასა და ფორმას;

ე) შესაბამისი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით მოთხოვნებს.

5. კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა შესაბამის ვებ-გვერდზე კონკურსის გამოცხადების დღიდან არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადა.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი განაცხადს წარადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვებ-გვერდის მეშვეობით.

7. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს დარგის ექსპერტისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

8. კონკურსის გამოცხადების გარეშე დარგის ექსპერტთა შერჩევის პროცედურა მოიცავს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ეტაპებს.

მუხლი 6. დარგის ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. დარგის ექსპერტის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) დარგის სპეციალისტის კომპეტენცია, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტ(ებ)ით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტ(ებ)ით) გათვალისწინებულ სფეროებში ბოლო 5 წლის განმავლობაში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილებით ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტ(ებ)ით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტ(ებ)ით) გათვალისწინებულ სფეროებში პროფესიული/აკადემიური უმაღლესი განათლებითა და ამავე სფეროში ბოლო 5 წლის განმავლობაში არანაკლებ ერთწლიანი მუშაობის გამოცდილებით;

ბ) კომპიუტერული პროგრამების (MICROSOFT WORD; EXCEL; POWER POINT) ცოდნა;

გ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების/კომპეტენციის ქონა:

გ.ა) ქართულ ენაზე გამართულად წერა და მეტყველება;

გ.ბ) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;

გ.გ) ემოციური ინტელექტი;

გ.დ) მოტივაცია;

გ.ე) გუნდური მუშაობა;

გ.ვ) ეფექტური კომუნიკაცია;

გ.ზ) სამართლიანობა;

გ.თ) პასუხისმგებლიანობა;

გ.ი) დეტალებზე ორიენტირებულობა;

გ.კ) ორგანიზებულობა;

გ.ლ) ვადებზე ორიენტირებულობა;

გ.მ) დარგში მიმდინარე სიახლეების ცოდნა;

გ.ნ) დარგთან დაკავშირებული რესურსების შეფასების კომპეტენცია;

გ.ო) დარგობრივი კომპეტენცია.

2. დარგის ექსპერტის არასავალდებულო (სასურველი) საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ან/და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება;
- ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა:
- ბ.ა) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ.გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანება;
- ბ.დ) „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილება;
- გ) დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით უცხო ენის ცოდნა.
3. დარგის ექსპერტის საქმიანობის განხორციელებისას სავალდებულოა ამ წესისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების ცოდნა.

თავი III სერტიფიცირება

მუხლი 7. სერტიფიცირების არსი, მიზანი და პრინციპები

1. სერტიფიცირება გულისხმობს ამ თავით დადგენილი წესით კონკურსის ეტაპების გავლასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას. სერტიფიცირების გავლის შედეგად პირს ენიჭება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საქმიანობის განხორციელების უფლება, მისი ექსპერტთა კორპუსში შეყვანის შემდგომ.
2. სერტიფიცირების მიზანია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პროფესიული თვისებების, მოტივაციისა და უნარ-ჩვევების შეფასება და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა მომზადება.
3. სერტიფიცირება ტარდება კანონიერების, სამართლიანობის, საჯაროობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 8. კონკურსის გამოცხადება და განაცხადის წარდგენა

1. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით კონკურსი ცხადდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული განათავსებს ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შესაძლებლობის შემთხვევაში სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე - hr.gov.ge და სხვა ვებ-გვერდზე, რომელიც გამოიყენება მსგავსი კატეგორიის განაცხადების საძიებო მიზნებისათვის.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს პროფესიული განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის ექსპერტისთვის ამ წესით დადგენილ ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და შემდეგ ინფორმაციას:

ა) კონკურსის განმახორციელებელი უწყების დასახელებას;

ბ) კონკურსის ეტაპებსა და ვადებს;

გ) განაცხადის გასაკეთებლად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, მათი წარდგენის ვადასა და ფორმას;

ე) შესაბამისი კომისიების მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით მოთხოვნებს.

5. კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა შესაბამის ვებ-გვერდზე კონკურსის გამოცხადების დღიდან არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადა.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი განაცხადს წარადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელსაც უნდა დაერთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები და ავტობიოგრაფია (CV), რომლითაც დასტურდება კანდიდატის სამუშაო გამოცდილება.

7. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მუხლი 9. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) პროფესიული ან აკადემიური უმაღლესი განათლება (სასურველია ბაკალავრის/მაგისტრის კვალიფიკაცია განათლების ადმინისტრირების/ბიზნესის ადმინისტრირების/სოციალური მეცნიერებების მიმართულებით);

ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით (სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება);

გ) პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ.გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

გ.დ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;

გ.ე) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტები;

დ) კომპიუტერული პროგრამების (MICROSOFT WORD; EXCEL; POWER POINT) ცოდნა;

- ე) ენები: სავალდებულოა ქართულ ენაზე გამართული წერითი და ზეპირი მეტყველება; სასურველია უცხო ენის (ინგლისური, რუსული და სხვა) ცოდნა;
- ვ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:
 - ვ.ა) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
 - ვ.ბ) სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
 - ვ.გ) კონფლიქტების მართვა;
 - ვ.დ) ემოციური ინტელექტი;
 - ვ.ე) მოტივაცია;
 - ვ.ვ) გუნდური მუშაობა;
 - ვ.ზ) ეფექტური კომუნიკაცია;
 - ვ.თ) პრეზენტაციის მომზადება;
 - ვ.ი) სამართლიანობა;
 - ვ.კ) პასუხისმგებლიანობა;
 - ვ.ლ) დეტალებზე ორიენტირებულობა;
 - ვ.მ) ორგანიზებულობა;
 - ვ.ნ) ვადებზე ორიენტირებულობა;
 - ვ.ო) ყურადღების კონცენტრაცია;
- ზ) ცოდნა შემდეგ საკითხებში:
 - ზ.ა) პროფესიული განათლების მიზნები და ამოცანები;
 - ზ.ბ) პროფესიული განათლების სტრატეგია;
 - ზ.გ) პროფესიული სტუდენტების უფლებები;
 - ზ.დ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები;
 - ზ.ე) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- თ) კომპეტენციები:
 - თ.ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების კომპეტენცია;
 - თ.ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომპეტენცია;
 - თ.გ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პერსონალის მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების შეფასების კომპეტენცია;
 - თ.დ) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასების კომპეტენცია;
 - თ.ე) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შეფასების კომპეტენცია;
 - თ.ვ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური მდგრადობის შეფასების კომპეტენცია;
 - თ.ზ) ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის კვლევის ჩატარების კომპეტენცია;
 - თ.თ) თვითშეფასების დოკუმენტის მომზადების კომპეტენცია;
 - თ.ი) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის მართვის მექანიზმების შემუშავების კომპეტენცია.

მუხლი 10. საკონკურსო კომისია

1. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება ორი სახის კომისია:

- ა) კანდიდატთა შერჩევის კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ამ წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თითოეულ ქვეეტაპთან მიმართებით;
- ბ) საგამოცდო კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ამ წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპთან მიმართებით.
2. კანდიდატთა შერჩევის კომისია შედგება ცენტრის თანამშრომლებისგან, ხოლო საგამოცდო კომისია - პროფესიული განათლების სპეციალისტებისგან.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორივე კომისია (შემდგომში - კომისია) უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, რომლებიც განისაზღვრებიან ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებას კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი ოქმის შედგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ინდივიდუალურად ეცნობებათ კანდიდატებს, მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
6. კომისიის მიერ საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ცენტრის თანამშრომლებისგან იქმნება კომისიის სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმების შედგენას, წარმოებასა და კანდიდატთათვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობას.

მუხლი 11. კონკურსის ვადა და ეტაპები

1. კონკურსის საერთო ვადა განისაზღვრება კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არა უმეტეს 6 თვით. ამასთან, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კონკურსის ეტაპების ვადები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კონკურსის ეტაპებია:
- ა) კანდიდატთა შერჩევა, რომელიც შედგება შემდეგი ქვეეტაპებისგან:
- ა.ა) განაცხადების გადარჩევა;
- ა.ბ) წერითი დავალება (ტესტირება);
- ა.გ) გასაუბრება;
- ბ) სპეციალური კურსის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ქვეეტაპებისგან:
- ბ.ა) ტრენინგის გავლა;
- ბ.ბ) შუალედური შეფასება;
- ბ.გ) შემაჯამებელი შეფასება;
- გ) საბოლოო გამოცდა.

მუხლი 12. კანდიდატთა შერჩევის ეტაპი

1. კანდიდატთა შერჩევის ეტაპზე ხდება იმ კანდიდატთა იდენტიფიცირება, რომელთაც სრული მზაობა ექნებათ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტად მომზადებისათვის სპეციალური კურსის გასავლელად.

2. განაცხადების გადარჩევის ქვეეტაპზე ხდება კანდიდატთა შესარჩევად დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება. თუ კანდიდატის მიერ წარდგენილი განაცხადი ან/და მასზე თანდართული დოკუმენტაცია შეიცავს ტექნიკურ უზუსტობებს ან/და დოკუმენტები არასრულად არის წარმოდგენილი, კანდიდატთა შერჩევის კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და აღნიშნული უზუსტობების გონივრულ ვადაში გასწორება.

3. კანდიდატი ვერ გაივლის განაცხადების გადარჩევის ქვეეტაპს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) კანდიდატის მიერ დამატებითი დოკუმენტაცია არ იქნა წარდგენილი ან ხარვეზი არ აღმოიფხვრა დადგენილ ვადაში.

4. წერითი დავალების (ტესტირების) ქვეეტაპზე ხდება კანდიდატთა საბაზისო ცოდნის ან/და სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების შეფასება, რომელიც აუცილებელია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა საქმიანობისთვის.

5. წერითი დავალების (ტესტირების) ქვეეტაპის საკითხებს ადგენს კანდიდატთა შერჩევის კომისია, ხოლო წერითი დავალების (ტესტირების) ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ეს უკანასკნელი კანდიდატთა მიერ შესრულებულ წერით დავალებებს, წერითი დავალების ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში აგზავნის კომისიის სამდივნოსთან, რომელიც უზრუნველყოფს მათ გაცნობას კანდიდატთა შერჩევის კომისიისთვის.

6. წერითი დავალების (ტესტირების) ქვეეტაპი წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ კანდიდატი დააგროვებს ქულათა მაქსიმუმის არანაკლებ 60%-ს.

7. გასაუბრების ქვეეტაპზე ხდება წერითი დავალების (ტესტირების) ქვეეტაპის დამლეული კანდიდატების პირისპირ გასაუბრება კანდიდატთა შერჩევის კომისიასთან და მათთან უშუალო კომუნიკაციის საფუძველზე კანდიდატთა ცოდნის, უნარების, კომპეტენციებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის შეფასება.

8. გასაუბრების ქვეეტაპი წარმატებით გავლილად ჩაითვლება კანდიდატთა შერჩევის კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

მუხლი 13. სპეციალური კურსის გავლის ეტაპი

1. სპეციალური კურსის გავლის ეტაპის მიზანია კანდიდატთა შერჩევის კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების მომზადება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საქმიანობის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტში, რათა კურსის შემდგომ კანდიდატმა შეძლოს საექსპერტო საქმიანობის წარმატებით განხორციელება სამიზნე დაწესებულებაში.

2. ტრენინგის გავლას უზრუნველყოფს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციის მქონე ტრენერთა ჯგუფი.

3. ტრენინგების ხანგრძლივობა შეადგენს 40 სატრენინგო (იგულისხმება ასტრონომიული საათი (1 სთ - 60 წთ.)) საათს. აღნიშნულ დროში მოიაზრება ასევე, კანდიდატთა შეფასებებისთვის გამოყოფილი დროც.

4. კანდიდატთა დასწრების აღრიცხვა ხორციელდება „მსმენელების აღრიცხვის“ სპეციალური ფორმის მეშვეობით. მსმენელები თითოეული დღის დასწრებას ადასტურებენ ხელმოწერით.

5. ერთი ჯგუფის მსმენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 ერთეულს.

6. ტრენინგები მსმენელს უტარებენ ტრენინგს შემდეგი თემატიკის ფარგლებში:

ა) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობებისა და ძირითადი საქმიანობის პრინციპების გაცნობა;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების განხილვა;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტების, სხვადასხვა საქმისწარმოების და ავტორიზაციის განმასხვავებელი ნიშნების განხილვა;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის წესებისა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისა და თავმჯდომარის ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცნობის მნიშვნელობაზე ხაზგასმა;

ზ) დღის წესრიგის შედგენის წესის გაცნობა;

თ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებისას განსაზღვრული წესების გაცნობა;

ი) ინტერვიუს ჩატარების ტექნიკების გაცნობა (ეფექტური კომუნიკაცია, აქტიური მოსმენის ტექნიკები, შეკითხვის ტიპები);

კ) ინტერვიუს ჩატარებისას სამიზნე აუდიტორიის შერჩევის მნიშვნელობაზე ხაზგასმა;

ლ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ვიზუალურად დათვალიერებისთვის აუცილებელი რეკომენდაციები და შესაფასებელი თემატიკის შესაბამისად დარგის ექსპერტთან თანამშრომლობის სტანდარტი (დარგის ექსპერტის როლისა და საჭიროების მნიშვნელობის გაცნობა);

მ) ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროების დადგენისა და ინფორმაციის გამოთხოვის წესის გაცნობა (ეფექტური კომუნიკაცია, ქცევის ტიპები, ცენტრის სტანდარტი ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ნ) ვიზიტის მიმდინარეობისას გამოვლენილი მიგნებების საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გაცნობის წესისა და ტექნიკების განხილვა (ეფექტური კომუნიკაცია, ქცევის ტიპები);

ო) დასკვნის პროექტის მომზადების მნიშვნელობისა და შემუშავების ტექნიკების გაცნობა;

პ) არგუმენტირებული პოზიციის განმარტება და შემდგომი მოქმედების წესების გაცნობა;

ჟ) საჯარო გამოსვლების ტექნიკების გაცნობა;

რ) ეფექტური პრეზენტაციის შემუშავების ტექნიკის სწავლება.

7. თითოეულ სატრენინგო დღეს ხდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული თემატიკ(ებ)ის სრულად გავლა, ხოლო მომდევნო სატრენინგო დღის დასაწყისში ხდება განვლილი თემატიკის შეფასება ტრენინგების მიერ მომზადებული ტესტების მეშვეობით - შუალედური შეფასება.

8. შუალედური შეფასების მიზანია ტრენერებს მიეცეთ საშუალება აკონტროლონ მსმენელთა ჯგუფის დინამიკა სწავლების კუთხით. შუალედური შეფასების შედეგებს გავლენა არ აქვს შემაჯამებელი შეფასებისთვის.

9. ტრენერთა მიერ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული თემატიკის სრულად გავლის შემდეგ ხდება კანდიდატთა შემაჯამებელი შეფასება ტესტების მეშვეობით, რომელთაც აფასებს ტრენერი.

10. შემაჯამებელი შეფასების ქვეეტაპი წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ კანდიდატი დააგროვებს ქულათა მაქსიმუმის არანაკლებ 60%-ს;

მუხლი 14. საბოლოო გამოცდის ეტაპი

1. საბოლოო გამოცდის მიზანია, კანდიდატებმა დაადასტურონ სპეციალური კურსის გავლის შედეგად პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.

2. კანდიდატთა შეფასება მოხდება ინდივიდუალურად და მათ შეექმნებათ ექსპერტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი იმიტირებული გარემო.

3. კანდიდატების შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული განვითარების შესაბამისობის დადგენა სტანდარტთან მიმართებაში;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, რესურსის, განვითარებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტის შესაბამისობის დადგენა სტანდარტთან მიმართებაში;

გ) პროფესიული სტუდენტების უფლებათა დაცვისა და მხარდამჭერი ღონისძიებების კომპონენტის შესასრულებლად საჭირო რესურსების დადგენა;

დ) პერსონალის, პროცესების მართვისა და განვითარების რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ე) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;

ვ) პროგრამის ან დაწესებულების ავტორიზაციის დროს გამოვლენილი გარემოებების სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადება;

ზ) საჯარო გამოსვლა და ეფექტური პრეზენტაცია.

4. საბოლოო გამოცდის ეტაპი წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ კანდიდატი დააგროვებს ქულათა მაქსიმუმის არანაკლებ 60%-ს.

მუხლი 15. სერტიფიკატის გაცემა და კანდიდატის ექსპერტთა კორპუსში შეყვანა

1. კანდიდატის მიერ ამ თავით დადგენილი ეტაპების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მას ენიჭება სერტიფიცირებულის სტატუსი საგამოცდო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადით და იგი უფლებამოსილია ამ ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრს ექსპერტთა კორპუსში შეყვანის მოთხოვნით.

2. განცხადების წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხდება სერტიფიცირებული სტატუსის მქონე პირის შეყვანა ექსპერტთა კორპუსში, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის კვოტით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. სერტიფიცირებული სტატუსის მქონე პირის მიმართ ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგენის შემთხვევაში, განცხადების წარდგენიდან 15 სამუშაო

დღის ვადაში ცენტრი უარს აცხადებს პირის ექსპერტთა კორპუსში შეყვანაზე, აღნიშნული გარემოების აღმოფხვრამდე და წერილობით აცნობებს განმცხადებელს.

4. საგამოცდო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში კანდიდატს გადაეცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისი სერტიფიკატი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ მან წარმატებით დაძლია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსი და ასევე, სერტიფიკატის მოქმედების ვადა.

5. სერტიფიკატი გაიცემა ქართულ ენაზე, ცენტრის დირექტორის ავტენტური ხელმოწერით.

6. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სერტიფიცირებულ პირთა შესახებ მონაცემების აღრიცხვას/დამუშავებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

თავი IV

ექსპერტთა ინტერესთა კონფლიქტი და საქმიანობის წესი

მუხლი 16. ექსპერტთა ინტერესთა კონფლიქტი

1. ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტი არის მისი ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ მიზნებთან. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

2. ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“/საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესითა და პირობებით“ გათვალისწინებულ შესაბამის წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე იმ დაწესებულებასთან მიმართებით, რომელთანაც მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

3. ექსპერტმა შესაბამისი საქმისწარმოების დასრულებიდან ერთი წლის მანძილზე არ უნდა დაამყაროს შრომითი ურთიერთობა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/იურიდიულ პირთან, რომელთან მიმართებით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში იღებდა მონაწილეობას.

4. ექსპერტი არ არის უფლებამოსილი, ცენტრის თანხმობის გარეშე, ცენტრის სახელით გასწიოს კონსულტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“/საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესითა და პირობებით“ გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

5. ექსპერტი დაწესებულებაში ვიზიტამდე, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებასთან კომუნიკაციას ახდენს მხოლოდ ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით.

მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები

1. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა ხდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შედიოდეს დარგის ექსპერტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სურვილის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის ფორმირება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის სტატუსით შესულ ერთ-ერთ წევრს, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა რაოდენობა (მინიმუმ 2 წევრისაგან შემდგარი) და დაწესებულებაში ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის სპეციფიკის, პროგრამების რაოდენობისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით.

5. მონიტორინგის გზით, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, მონიტორინგის ტიპი და ექსპერტთა ჯგუფის წევრების/თავმჯდომარის მიერ შესასრულებელი სამუშაო (გარდა ამ მუხლის მე-7 - მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა), ასევე ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. ექსპერტთა ჯგუფის წევრების ფუნქციები განსხვავებულად რეგულირდება მათი სტატუსის გათვალისწინებით.

7. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის სტატუსის მქონე ექსპერტთა ჯგუფის წევრის საქმიანობის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და დასკვნის პროექტისა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის მომზადება. ამ მიზნით ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული წევრის ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების მიზანთან (დაწესებულების ავტორიზაცია, პროგრამის დამატება, მონიტორინგი და ა.შ.) დაკავშირებული ცენტრის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა და გაანალიზება ვიზიტის განხორციელებამდე;

ბ) შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენიშვნების, მოსაზრებების და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გაზიარება თავმჯდომარესთან შეთანხმებული ფორმით;

გ) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში მონაწილეობის მიღება;

დ) დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების თვითშეფასებაში/განაცხადში/თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის რეალობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შემდეგი აქტივობების განხორციელება:

დ.ა) დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან (პროფესიული სტუდენტი, კურსდამთავრებული, მშობელი/მეურვე, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ.) ინტერვიუს ჩატარება;

დ.ბ) დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტების (სასწავლო საწარმო, საწარმოო პრაქტიკის ობიექტი) დათვალიერება;

დ.გ) საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, დადგენილი წესის შესაბამისად;

დ.დ) ძირითადი მიგნებების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის გაზიარება და განხილვა;

დ.ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაციის დასკვნის პროექტში ასახვა;

დ.ვ) საჭიროებიდან გამომდინარე, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისთვის აუცილებელი სხვა აქტივობების განხორციელება;

ე) დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;

ზ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;

თ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.

8. დარგის ექსპერტის სტატუსის მქონე ექსპერტთა ჯგუფის წევრის საქმიანობის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრისთვის კონსულტაციების გაწევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის დარგობრივი საკითხების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ ინდიკატორებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული წევრის ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების (დაწესებულების ავტორიზაცია, პროგრამის დამატება, მონიტორინგი და ა.შ.) ფარგლებში დარგთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა ექსპერტთა ჯგუფისთვის;

ბ) შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენიშვნების, მოსაზრებების და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გაზიარება თავმჯდომარესთან შეთანხმებული ფორმით;

გ) პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი რესურსების (მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო რესურსები) და სასწავლო პროცესში დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით;

დ) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში მონაწილეობა;

ე) ვიზიტის პერიოდში დაწესებულების თვითშეფასებაში/განაცხადში/თვითშეფასების ანგარიშში ასახული დარგობრივი საკითხების რეალობასთან და ავტორიზაციის სტანდარტის ინდიკატორებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემდეგი აქტივობების განხორციელება:

ე.ა) დარგობრივ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან (პროფესიული სტუდენტი, კურსდამთავრებული, მშობელი/მეურვე, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ.) ინტერვიუს ჩატარება;

ე.ბ) დარგობრივი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტების (სასწავლო საწარმო, საწარმოო პრაქტიკის ობიექტი) დათვალერება;

ე.გ) საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა დადგენილი წესის შესაბამისად;

ე.დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის გაზიარება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;

თ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;

ი) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.

9. შესაბამისი წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) უხელმძღვანელოს დაწესებულების შეფასების პროცესს;

ბ) დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილება, ექსპერტთა ჯგუფის წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით;

გ) მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების შეჯამება და ამის გათვალისწინებით შეიმუშავოს ვიზიტის დღის წესრიგი/აგნობის ცენტრს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროების შესახებ;

დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში შეათანხმოს ვიზიტის დღის წესრიგი ცენტრთან და ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან დეტალურად განიხილოს ვიზიტის ფარგლებში განსახილველი და გამოსაკვლევი საკითხები;

ე) ვიზიტისას უხელმძღვანელოს ინტერვიუების პროცესსა და შეხვედრებს დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

ვ) ვიზიტის ფარგლებში, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ვიზიტის ყოველი დღე შეაჯამოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან;

ზ) ვიზიტის ბოლოს გააკეთოს შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია დაწესებულების წინაშე;

თ) დადგენილ ვადაში ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარუდგინოს ცენტრს;

ი) ცენტრისგან და დაწესებულებისაგან მიღებული უკუკავშირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა და წარუდგინოს ცენტრს;

კ) წარადგინოს დასკვნის შედეგები შესაბამისი საბჭოს სხდომაზე და პასუხი გასცეს საბჭოს წევრთა შეკითხვებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10. ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია:

ა) იმოქმედოს საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას სუბორდინაცია, ხოლო გადაწყვეტილებები, რომელიც სცდება მისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებს, შეათანხმოს ცენტრთან.

ბ) დაიცვას შესაბამისი რეგულაციები, რომელიც ვრცელდება მასზე, დაკავებული პოზიციის შესაბამისად.

გ) უზრუნველყოს მისი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დაცვა, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დ) განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს განახორციელოს უშუალო ხელმძღვანელის/ცენტრის ინფორმირება და გადაწყვეტილებები შეათანხმოს მასთან.

11. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და წევრ(ებ)ი უფლებამოსილი არიან შესაბამის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა მიიღონ კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რაც აისახება სხდომის ოქმში. აღნიშნულ პირებს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესაბამის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info@eqe.ge მეშვეობით შეატყობინებენ ცენტრს შესაბამისი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 18. პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით დასკვნის შედგენა

1. ექსპერტთა ჯგუფი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის შემდეგ შეგროვილი ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე ადგენს დასკვნას, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმების მიხედვით.

2. ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს:

ა) მკაფიო და ნათელი;

ბ) ენობრივად გამართული;

გ) არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული.

3. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უფლებამოსილია დასკვნის კონკრეტული ნაწილის შედგენა დააკისროს ექსპერტთა ჯგუფის კონკრეტულ წევრს, კომპეტენციის გათვალისწინებით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თითოეულმა ნაწილმა უნდა ასახოს მთლიანად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები და რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელია ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

4. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, განსხვავებული აზრი დაერთვება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

5. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის/საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვრება ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ ან ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 19. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები

1. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა ხდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა რაოდენობა და იურიდიულ პირში/საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსახორციელებელი ვიზიტის ხანგრძლივობა

განისაზღვრება ინდივიდუალურად, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სპეციფიკისა და იურიდიული პირის/საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით.

3. მონიტორინგის გზით სტანდარტების შესრულების შემოწმების შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, მონიტორინგის ფორმა (ვიზიტით ან ვიზიტის განხორციელების გარეშე) ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ შესასრულებელი სამუშაო (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), ასევე, ამ სამუშაოსთვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა, განისაზღვრება იურიდიული პირის/საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების რაოდენობის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინებით, რაც აისახება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

4. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში ექსპერტთა კორპუსიდან შედიან მხოლოდ დარგის ექსპერტები. ამასთან, ექსპერტთა კორპუსის წევრი დარგის ექსპერტების გარდა, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ცენტრის მიერ მოწვეული შესაბამისი დარგის სხვა სპეციალისტ(ებ)ი, მათ შორის, დარგობრივი ასოციაციების/პროფესიული გაერთიანების წარმომადგენლები.

5. ექსპერტთა ჯგუფის/ექსპერტის მიერ საქმიანობა ხორციელდება ამ წესის მე-17 მუხლით დარგის ექსპერტთა მიმართ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ თავისებურებების გათვალისწინებით.

მუხლი 20. ცენტრის თანამშრომლის მიერ ექსპერტთა საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა და შეფასების ერთიანი მიდგომების დაცვა

1. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლინოს ცენტრის თანამშრომელი, რაც აისახება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

2. ცენტრის თანამშრომელი:

ა) უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვასა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების/პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე;

ბ) ვიზიტის განმავლობაში უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის სტანდარტებით/პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად დადგენილი სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლას, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს აწვდის ინფორმაციას გამორჩენილი ან/და დასაზუსტებელი საკითხების შესახებ.

გ) დაწესებულების/პროგრამის შეფასების პროცესში პროცედურული დარღვევის შემთხვევაში აცნობებს ცენტრს;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ დახმარებას უწევს ექსპერტთა ჯგუფს.

3. ცენტრის თანამშრომელი არ მონაწილეობს შეფასებისა და დასკვნის შედგენის პროცესში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ცენტრის თანამშრომელი პროფესიული მომზადების პროგრამისა

და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს აპარატის წევრია, იგი მონაწილეობს შეფასებისა და დასკვნის შედგენის პროცესში, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ შესაბამისად.

მუხლი 21. ექსპერტთა საქმიანობის ანაზღაურება

ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი V

ექსპერტთა პროფესიული განვითარება და მათი მუშაობის შეფასება

მუხლი 22. ექსპერტთა პროფესიული განვითარება

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფილად წარმართვისა და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს ექსპერტების პროფესიულ განვითარებას, კერძოდ, იგი:

ა) ატარებს ტრენინგებს ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის ავტორიზაციის არსებული სტანდარტებისა და პროცედურების, პროცესების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პერიოდული უკუკავშირით უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) უზრუნველყოფს ექსპერტებისთვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადებას;

გ) ორგანიზებას უწევს ექსპერტთა კორპუსთან პერიოდულ შეხვედრებს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების მიმდინარეობის ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

2. ცენტრი ხელს უწყობს ექსპერტთა ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და უცხოური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ განხორციელებულ შეფასებებში.

3. ცენტრი ექსპერტთა კორპუსის წევრებს სთავაზობს ტრენინგების ჩატარებას საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ექსპერტთა კორპუსის სხვა წევრებისთვის.

4. ამ წესით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს დარგის ექსპერტთა პერიოდული ატესტაცია. დარგის ექსპერტთა ატესტაცია ცხადდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

6. ატესტაციაში დარგის ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება წარმოადგენს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, დარგის ექსპერტი ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, ატესტაციაში

მონაწილეობის ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში. ატესტაციაში დარგის ექსპერტის მონაწილეობის ვერ მიღების ფაქტის ცენტრის მიერ საპატიოდ ცნობის შემთხვევაში, დარგის ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განსახორციელებელი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 23. ექსპერტთა მუშაობის შეფასება

1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასებას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კითხვარების მიხედვით.
2. ექსპერტთა საქმიანობის შეფასების კითხვარს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის ჩაბარებამდე ავსებს დაწესებულება, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის ჩაბარების შემდეგ ავსებს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ექსპერტთა საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფს ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე.
4. ექსპერტთა საქმიანობის შეფასებას ცენტრი ახორციელებს ექსპერტის მიერ ერთმანეთის მიმდევრობით 3 ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შევსებული კითხვარების საფუძველზე.
5. ექსპერტის საქმიანობის უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს კონკრეტული ექსპერტის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

თავი VI

ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 24. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერება

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების საფუძველია:
 - ა) ექსპერტის მიერ ცენტრის თანამშრომლის პოზიციის დაკავება, გარდა, ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს/სააპელაციო საბჭოს/პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრად ექსპერტის დანიშვნა.
2. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების შესახებ გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ექსპერტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაცია აისახება ექსპერტთა კორპუსში.
4. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეჩერების შემთხვევაში ექსპერტი ვეღარ განახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასრულებამდე, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოება დადგა ექსპერტის მიერ ამ წესით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში,

ექსპერტი ვალდებულია სრულყოფილად განახორციელოს მასზე დაკისრებული ფუნქციონირება, გარდა შესაბამის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობისა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასრულების შემთხვევაში გამოიყენება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტთა კორპუსის წევრობის აღდგენის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ექსპერტის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია აისახება ექსპერტთა კორპუსში.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტითა და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებას პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის უზრუნველყოფს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, რათა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სამსახურებრივი ბარათით მიმართოს ცენტრის დირექტორს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

მუხლი 25. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტა

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) დარგის ექსპერტთა ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასება ან ატესტაციაში დარგის ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება;

ბ) ექსპერტის მიერ ექსპერტთა ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;

გ) ექსპერტის მიერ მისი ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება;

დ) ექსპერტის მიერ ამ წესის მე-16 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;

ე) ექსპერტის პირადი განცხადება;

ვ) ექსპერტის მიმართ, კანონიერ ძალაში შესული, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობა;

თ) ექსპერტის გარდაცვალება;

ი) ამ წესის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ექსპერტის საქმიანობის უარყოფითი შეფასება;

კ) ექსპერტის მიერ ამ წესით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების თაობაზე ცენტრის ზედინფორმაციით სამ შეთავაზებაზე არასაპატიო მიზეზით უარის თქმა;

ლ) ცენტრის მიერ ორგანიზებულ ექსპერტთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში არასაპატიო მიზეზებით მონაწილეობის არ მიღება.

2. ამ წესის მიზნებისთვის ექსპერტთა ეთიკის კოდექსს წარმოადგენს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კოდექსი“.

3. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ცვლილებების და/ან ექსპერტების ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის და/ან მათი საქმიანობის წესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტთა კორპუსის რეორგანიზაციისა და ექსპერტთა კორპუსის ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ.

4. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შესახებ გამოიყენება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხდება ექსპერტთა კორპუსიდან პირის ამოღება.

5. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში პირი ვეღარ განახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ საქმიანობას.

მუხლი 26. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე ან/და ცენტრის ინიციატივით, გარდა ამ წესის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
 - ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
 - გ) ექსპერტის სახელსა და გვარს;
 - დ) მოთხოვნას;
 - ე) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
 - ვ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.
3. ამ წესის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შესახებ ცენტრში წარმოდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.
4. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ექსპერტის კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხის განხილვას.
5. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების/დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
6. ექსპერტის მიმართ ამ წესის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ ან/და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის არანაკლებ 3 კაციან ეთიკის კომისიას (შემდგომში - კომისია). კომისია ცენტრის დირექტორს სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.
7. კომისია რეკომენდაციას ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
8. ამ მუხლის მე-5 ან/და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ასევე, ექსპერტის მიერ ჩადენილი გადაცდომის შინაარსის, სიმძიმისა და დამდგარი შედეგის საფუძველზე, ცენტრის დირექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
 - ა) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ;
 - ბ) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ერთი თვის ვადაში:
 - ა) დაინტერესებული პირის განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან;
 - ბ) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ცენტრის დირექტორისათვის წარდგენილ სამსახურებრივ ბარათზე ცენტრის დირექტორის წერილობითი თანხმობის მიღებიდან.
10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ექსპერტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება წერილობითი ფორმით, შემდგომში აღნიშნული მითითების გათვალისწინების/შესრულების ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული მექანიზმითა და

ვადაში შემოწმების უფლებით. ექსპერტის მიერ აღნიშნული მითითების შესაბამის ვადაში არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტისათვის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

11. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილება 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ექსპერტს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უნდა გაეგზავნოს ფოსტით/ელექტრონულ ფოსტაზე.

12. ამ წესის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე, ექსპერტისთვის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში პირი არ არის უფლებამოსილი ახლიდან გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრი.